

## ეთიკის კომისიის

### ზეპირი

## რეკომენდაცია

შეკითხვის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 23.09.2015

შეკითხვის რეგისტრაციის ნომერი: 017/15

#### შეკითხვა:

ადვოკატი წარმოადგენს კლიენტს სასამართლოში. დასკვნითი სიტყვის წარმოთქმის წინ, ადვოკატი ობიექტურად ვერ ახერხებს დაუკავშირდეს კლიენტს, რათა შეიტყოს მისგან ინფორმაცია, სურს თუ არა მას ადვოკატი დასკვნითი სიტყვით წარდგეს სასამართლოს წინაშე. კლიენტს ადვოკატისათვის ამ ქმედების გახორციელება პირდაპირ არ აუკრძალავს, თუმცა, ადვოკატი ფიქრობს, რომ სასამართლოს მიმართოს შუამდგომლობით პროცესის გადადების თაობაზე. როგორ უნდა მოიქცეს ადვოკატი?

#### ანალიზი:

**ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტი:** „ადვოკატი ვალდებულია დროულად მიაწოდოს კლიენტს ყველა ინფორმაცია და განუმარტოს ყველა შესაძლო ფინანსური ვალდებულება, რომელიც დაკავშირებულია მისი საქმის წარმოებასთან.“

**ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-2 ნაწილი:** „ადვოკატმა საქმე უნდა აწარმოოს კლიენტის, მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის ან შესაბამისი ორგანოს მიერ დანიშნული კომპეტენტური პირის მითითებით, სავალდებულო დაცვის შემთხვევაში.“

**ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-6 ნაწილი:** „ადვოკატმა კლიენტს მასთან შეთანხმებული წესით უნდა მიაწოდოს ინფორმაცია მასზე მინდობილი საქმის მსვლელობისა და საქმის წამოების მოსალოდნელი ხარჯების შესახებ.“

ადვოკატმა საქმის წარმოებისას კლიენტს უნდა მიაწოდოს ინფორმაცია მისი საქმის მიმდინარეობის თაობაზე, რაც მოიცავს სრული ინფორმაციის დროულად მიწოდებას. კლიენტისათვის ინფორმაციის მიწოდება საშუალებას აძლევს მას, რომ ჩართული იყოს საქმის მსვლელობის პროცესში. კლიენტის მიერ ადვოკატისათვის რწმუნებულებით

უფლებამოსილების მინიჭების მიუხედავად, ადვოკატი ვალდებულია კლიენტთან შეათანხმოს საქმის წარმოებისას მის მიერ განსახორციელებელი მოქმედებები.

ეთიკის კომისიამ 2010 წლის 29 ოქტომბრის გადაწყვეტილებით, დისციპლინურ საქმეზე №074/10, დაადგინა, რომ „ადვოკატის მოვალეობაა კლიენტს მიაწოდოს ყველა ინფორმაცია, რაც უკავშირდება მისი საქმის წარმოებას, რათა კლიენტმა იცოდეს მის მიერ მინდობილი საქმის მსვლელობის თაობაზე. ადვოკატის აღნიშნული ვალდებულება პირდაპირ კავშირშია კლიენტის ინტერესებთან, რადგან კლიენტი წარმოადგენს საქმის შედეგით დაინტერესებულ პირს და მნიშვნელოვანია ის ფლობდეს ინფორმაციას მისი საქმის მიმდინარეობის შესახებ.“

ეთიკის კომისიამ 2012 წლის 25 ივლისის გადაწყვეტილებაში, დისციპლინურ საქმეზე №096/11, განმარტა, რომ „ადვოკატის მიერ კეთილსინდისიერი წარმომადგენლობის განხორციელება ემყარება ადვოკატსა და კლიენტს შორის ეფექტურ კომუნიკაციას, რაც ადვოკატს აძლევს შესაძლებლობას საქმის წარმოების პროცესში შეათანხმოს დაცვის სტრატეგია კლიენტთან, მუდმივად მიიღოს კლიენტისაგან დაცვის განხორციელებისათვის საჭირო ინფორმაცია, გაითვალისწინოს კლიენტის რჩევები და ინტერესები.“

მოცემულ შემთხვევაში, ვინაიდან ადვოკატი, შეკითხვაში მითითებული ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე, ობიექტურად ვერ ახერხებს დაუკავშირდეს კლიენტს და შეათანხმოს მასთან განსახორციელებელი მოქმედება, ადვოკატმა, კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე, უნდა შეაფასოს საქმის ვითარება, გაითვალისწინოს კლიენტის უკვე არსებული მითითებები და იმოქმედოს კლიენტის ინტერესების უპირატესობის პრინციპის გათვალისწინებით. თუ ადვოკატი ფიქრობს, რომ, საქმის გარემოებებიდან გამომდინარე, უმჯობესია სხდომის გადადება და ეს ხელს შეუწყობს კლიენტთან დაკავშირებასაც, მან უნდა მიმართოს შესაბამისი შუამდგომლობით სასამართლოს, ხოლო შუამდგომლობის დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში, იმოქმედოს კლიენტის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე.

#### **დასკვნა:**

იმ შემთხვევაში, თუ ადვოკატი ობიექტურად ვერ უკავშირდება კლიენტს კონკრეტული პროცედურული მოქმედების შესრულების საკითხის შესათანხმებლად და მისგან არ აქვს მიღებული ამ მოქმედების შეუსრულებლობის მითითება, ადვოკატმა უნდა იმოქმედოს, კონკრეტული საქმის გარემოებების მიხედვით, კლიენტის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე.

**რეკომენდაცია არ არის სავალდებულო ეთიკის კომისიის ან სასამართლოს მიერ რომელიმე დისციპლინური საქმის განხილვისას. თუმცა შესაძლებელია გამოყენებული იქნეს ერთ-ერთ წყაროდ ეთიკის კომისიის გადაწყვეტილებაში.**